დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**გ-109.109222221**
თარიღი:**10/08/2022**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (მიწის ნაკვეთი)

უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 აგვისტოს №108-108222225 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ სარგებლობის უზუფრუქტის ფორმით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ ეკლესიას, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (საზაფხულო საძოვარი კონტური №18 ,,ჩათახი'') სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 82.17.41.027 ,ფართობი 750000,00კვ.მ, 49 წლის ვადით, სამეურნეო დანიშნულებისათვის სარგებლობის უფლებით.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი